ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2231638

ნომერი: AR1344704

თარიღი : 26.09.2015

გაცემის თარიღი : 07.10.2015

გაცნობის თარიღი : 07.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების I შესახვევი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჯუღაშვილი პ/ნ 01011008861
- თბილისი ლეხ კაჩინსკის ქ. N 9 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ხელახლა იქნა განხილული თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო ღობის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით (თქვენ მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა).

ასევე მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სახელმწიფოს კუთვნილი კანალიზაციის მილი (ს.კ. N 01.01.755), საჭიროა წარმოადგინოთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ უკვე გეცნობათ №2219459 გადაწყვეტილებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.